NEWSLETTER

დეკემბერი, 2016
საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

- ბიზნეს სექტორის შეხვედრა სემეკთან
- ბიზნეს სექტორმა შრომისა და უსაფრთხოების კომისია შექმნა
- GEA-ს წევრი და არტნიორი კომპანიები ფინანსთა მინისტრს შეხვდნენ
- ტრენინგი - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე
- შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან
- ტრენინგი თემაზე - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი
- სკოლის მოსწავლეების შეხვედრა წარმატებულ ბიზნესმენებთან პროექტის „პროფესიული განათლებისა და სწავლების პარტნიორობის“ ფარგლებში

ბიზნეს სექტორის შეხვედრა სემეკთან

13 დეკემბერს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) ორგანიზებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) ბიზნეს სექტორს შეხვდა.

შეხვედრას სამთავრობო უწყებების და ელექტროენერგეტიკის სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრას გახსნის „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტმა დანიელ გახარიამ. ხოლო ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ზვიად გაჩეჩილაძემ წარმოადგინა პრეზენტაცი თემაზე: „ნეტო აღრიცხვის რეგულირება საქართველოში“.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ: კომისიის წევრი გოჩა შონია, ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორი, ნუგზარ ბერიძე; მეთოდოლოგიური უზრუნველყოფისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, თამარ ბარსონიძე; საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, ნინო ლაშხია;

შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, კომპანიებს ჰქონდათ საშუალება, პირდაპირი დიალოგის რეჟიმში, დაესვათ კითხვები მათთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით.
შეხვედრის დასასრულს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიას გადასცა მადლობის სიგელი ბიზნეს სექტორთან აქტიური თანამშრომლობისთვის.

ბიზნეს სექტორმა შრომისა და უსაფრთხოების კომისია შექმნა

- ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ შექმნილია შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების კომისია, რომლის წევრები არიან ბიზნეს სექტორში დასაქმებული შრომის უსაფრთხოების მენეჯერები.
-
- კომისიის მიზანია:
-
- - სისტემატური სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, სამოქმედო გეგმის განსაზღვრ
- - კომპანიების მოთხოვნების შესწავლა უსაფრთხოების სფეროში
- - შრომის უსაფრთხოების საინფორმაციო ლინკის შექმნა
- - შრომის უსაფრთხოების სფეროში წარმატებულ კომპანიებში ვიზიტები გამოცდილების გაზიარების მიზნით
- - სამუშაო შეხვედრებზე შესაბამისი სამინისტროების და უწყებების მოწვევა
- - საკანონმდებლო ინიციატივების (პროექტების) განხილვა და რეკომენდაციების მიწოდება სოციალური დიალოგის კომისიისთვის, რათა მაქსიმალურად მოხდეს ბიზნესის ინტერესების გათვალისწინება.

12 დეკემბერს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა აღნიშნული კომისიის წევრების შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის უფროსთან ქ-ნ ელზა ჯგერენაიასთან. როგორც ცნობილია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, მომზადებულია კანონპროექტი შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ, მზადდება ევროდირექტივების შესაბამისი რეგულაციები და შესაბამისი ნორმატული აქტები.

აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო ამ სტრუქტურული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს. სამუშაო შეხვედრაზე ბიზნეს სექტორის მხრიდან გამოითქვა გარკვეული შენიშვნები არსებული ნორმატული ბაზის შეუსაბამობის და სხვადასხვა უწყებების ფუნქციების პარალელიზმის შესახებ, რაც ზედმეტ ტვირთად აწვება ბიზნესს.

შეხვედრის ბოლოს გამოითქვა მოსაზრება რომ მომავალშიც გაგრძელდეს ასეთი შეხვედრები, რაც ორივე მხარისთვის სასრგებლო იქნება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას, როგორც სამმხრივი სოციალური დიალოგის წევრ ბიზნეს გაერთიანებას აკისრია შუამავლის როლი კერო სექტორსა და სახელმწიფოს შორის, რათა მაქსიმალურად ეფექტურად განხორცილდეს ურთიერთთანამშრომლობის პროცესი, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან ასევე პროფკავშირებთან.

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ ჩამოყალიბებული კომისია გააგრძელებს მომავალში მსგავსი სახის სამუშაო შეხვედრებს, რათა ბიზნესის ინტერესები მაქსიმალურად აისახოს საკანონმდებლო და ნორმატულ აქტებში.

GEA-ს წევრი და არტნიორი კომპანიები ფინანსთა მინისტრს შეხვდნენ

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) წევრი და პარტნიორი კომპანიები საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერს და ფინანსთა მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა მთავრობის მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე, ასევე საკანონმდებლო სიახლეებზე, რომელთა მიღებაც რეფორმების ფარგლებშია გათვალისწინებული.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ბიზნეს სექტორს წარუდგინა პრეზენტაცია ფისკალური პოლიტიკის გავლენის ძირითად ასპექტებზე და საქართველოს ეკონომიკის არსებული სიტუაცია და პოტენციული განიხლა მაკრო ეკონომიკის ჭრილში.

პრეზენტაციაზე, რომელიც 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა, განსაკუთრებული ყურადღება დიმიტრი ქუმსიშვილმა გაამახვილა მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიან გეგმასა და მის ცალკეულ მიმართულებებზე.

მისი განცხადებით, მოგების გადასახადის რეფორმის გასატარებლად მთავრობა დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა. პირველი ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, აღნიშნული რეფორმის შედეგად საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკა დამატებით 1-1,5 პროცენტით გაიზრდება.
დიმიტრი ქუმსიშვილმა, ასევე, ისაუბრა მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც საქართველოს და მის ცალკეულ რეგიონებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას მოუტანს მთავრობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად დიმიტრი ქუმსიშვილმა დაასახელა ბიზნესის სახლის შექმნა, რომელიც იმუშავებს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით და საქმიანი სფეროს წარმომადგენლებს მიაწვდის ყველა საჭირო სერვისს.
დამსაქმებელთა ასოციაციის წევრმა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა დიალოგის რეჟიმში ისაუბრეს იმ პრობლემების შესახებ, რომელებიც არსებობს საქართველოს ეკონომიკურ გარემოში.

ასოციაციის არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია დიალოგის რეჟიმის უზრუნველყოფა მთავრობასა და ბიზნეს სექტორს შორის. ამდენად, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ ბიზნეს სექტორსა და მთავრობას შორის კომუნიკაციის გაძლერებას ხელს უწყობს მსგავსი სახის შეხვედრებით.

ტრენინგი - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე

20-21 დეკემბერს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებში. კერძოდ, თემაზე - „რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე“. აღნიშნული სატრენინგო პროგრამა მომზადებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლის ძირითადი პრინციპებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა შრომის ინსპექცია.

სატრენინგო პროგრამის მიზანია, საწარმოში/ორგანიზაციაში სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენის, რისკების განსაზღვრის/შეფასების, მათი შემცირების, ან აღმოფხვრის მეთოდებისა და სისტემური მიდგომების შესწავლა. პროგრამა პრაქტიკული გამოყენებისაა და ასეთი სისტემის დანერგვა ნებისმიერ კომპანიას შეუძლია.აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პირობებისთანამედროვე სტანდარტების და მიდგომების დანერგვა, საშუალებას იძლევა არა მხოლოდ პერსონალის უსაფრთხოების გარანტიებს, არამედ ხელს უწყობს კომპანიის შემოსავლების ზრდას.

ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურადაა ჩართული წევრი კომპანიების სამუშაო გარემოსა და პროცესების ევრო დირექტივების შესაბამისად მორგებაზე, რათა მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ შრომის ინსპექტირების შემოწმებას. ამ მიზნით, ასოციაცია კომპანიებს სთავაზობს:

- შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადამზადებას;
- საკონსულტაციო მომსახურებას;
- სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენისა და რისკის შეფასების თემატიკაზე პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე;
- შრომის ინსპექციის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში მხარდაჭერას.

ამდენად, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კომპანიების დახმარების მიზნით სისტემატურად გაახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ წევრი კომპანიები ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარესთან წლის შემაჯამებელ შეხვედრას. ლევან რაზმაძემ განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებით ანგარიში წარადგინა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. შეხვედრას მცირე და საშუალო საწარმოთა, ბიზნესგაერთიანებათა და ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ბიზნეს გაერთიანების სახელით სიტყვით გამოვიდა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დანიელ გახარია, რომელმაც შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს ლევან რაზმაძეს გადასცა მადლობის სიგელი „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან“ შეხვედრების ფორმატში აქტიური მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოცაიცია ბიზნეს სექტორსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დიალოგის გაუმჯობესების მიზნით მსგავი ტიპის ღონისძიებების აქტიური მხადამჭერია.

ტრენინგი თემაზე - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი

23 დეკემბერს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში ჩატარდა კორპორატიული ტრენინგი „ავერსის“ თანამშრომლებისთვის თემაზე: „მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) მოდელი“.

ტრენინგების მიზანს წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობაში, მოგების გადასახადის ე.წ ესტონურ მოდელთან დაკავშირებით შესული მნიშვნელოვანი ცვლილებების გაცნობა, რომელიც ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ტრენინგს უძღვებოდა აუდიტორული და ბუღალტრული კომპანია ფინანსური ოფისის მმართველი პარტნიორი მიხეილ ჭელიძე;

ავერსის თანამშრომლებმა ტრენინგზე განიხილეს შემდეგი თემები:
1. შინაარსობრივი განსხვავება მოგების გადასახადის არსებულ და ახალ მოდელებს შორის;
2. ვინ არის მოგების გადასახადის გადამხდელი ახალი მოდელის მიხედვით;
3. დაბეგვრის ობიექტები ახალი მოდელის მიხედვით:
- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
4. უკვე გადახდილი ან გადასახდელი მოგების გადასახადის ჩათვლა ახლად გადასახდელი მოგების გადასახადის ანგარიშში.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კადრების გადამზადებისთვის კომპანიებს სთავაზობს როგორც ჯგუფურ, ისე კორპორატიულ ტრენინგებზე დასწრებას, რათა მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ საკანონმდებლო ცვლილებებს.

სკოლის მოსწავლეების შეხვედრა წარმატებულ ბიზნესმენებთან პროექტის „პროფესიული განათლებისა და სწავლების პარტნიორობის“ ფარგლებში

29 დეკემბერს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ეისში“ და „გორის ქართულ ამერიკულ სკოლაში“ ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და გორის კერძო სკოლების (თამარიონი, ეისი და ქართულ ამერიკული სკოლა) ორგანიზებით გაიმართა სკოლის მოსწავლეების შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი წარმატებული ბიზნესის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე სკოლის მოსწავლეები წარმოადგენეს საკუთარი თვალით დანახულ საწარმოების საქმიანობის შესახებ პრეზენტაციებს, ხოლო კომპანიების მოწვეულმა სტუმრებმა ახალგაზრდობას გააცნეს პირადი კარიერული წინსვლის მახასიათებლებსა და კორპორატიული ინტერესების თანხვედრის ასპექტები. შეხვედრა გაგრძელდა დისკუსიის ფორმატში და ერთობლივად განისაზღვრეს მომავალ წელს ახალგაზრდობის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ეფექტური ნაბიჯები.

შეხვედრა წარმოადგენდა 2016 წელს დასკვნით აქტივობას, რომელსაც წინ უძღვოდა წლის მეორე ნახევრიდან გერმანიის ხელისუფლების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დაფინანსებული „პროფესიული განათლებისა და სწავლების პარტნიორობის“ პროექტის ფარგლებში გორში სკოლის მოსწავლეების ვიზიტები და მოსწავლეების პრაქტიკული სწავლებები საწარმოებში.

შესაბამისად, აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენდა ერთის მხრივ, პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებას და მეორეს მხრივ, მომავალ წელს აქტივობების ზრდის მიზნით შესამუშავებელ ღონისძიებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, კომპანია „მეგობრობის“, სასტუმრო „ვიქტორიას“, ჰიპერმარკეტ „გუდვილისა„ და რესტორან „ნაჭარმაგევის“ ხელმძღვანელი პირები, შეხვედრაზე მოწვეული არიან გორის მინიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის სამსახურის ხელმძღვანელები.

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551
ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA